

ენათმეცნიერება Linguistic

ენა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი

სალომე ლაღაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: baia_7@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.07>

SJIF 2024: 8.268

წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უმთავრესი საშუალებაა ენა. მისი სწორად ათვისება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის განვითარების პროცესში. ენა განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც მხოლოდ ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი. მისი უმთავრესი ფუნქციაა კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური გზით ხელშეწყობა.

ადამიანი, სოციალური არსებაა. შესაბამისად, სოციალური კომუნიკაციის დამყარება ადამიანის ერთერთ საბაზისო მოთხოვნილებაა. წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უმთავრესი იარაღი კი ენაა. ენა არის იდეების გამოხატვა, სამეტყველო ბგერებით წარმოთქმული სიტყვების საშუალებით. სიტყვები ერთიანდებიან წინადადებებში. სწორედ, ამ წინადადებებით გარდაიქმნება იდეები ფიქრებად და შემდეგ გამოიხატება. ენა არის სოციალური ფენომენი, რომელიც წარმოადგენს წესებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელთა გამოყენებითაც დგება სიტყვები და წინადადებები. ენა არის სიმბოლოთა სისტემა, ხოლო მეტყველება ამ სისტემის რეალიზება. მეტყველება ურთიერთობის პროცესია, ხოლო ენა საშუალება.

კომუნიკაციის პროცესში, ვერბალური კომუნიკაციის პარალელურად არანაკლებ მნიშვნელოვანია პარალინგვისტური ნიშნების ამოცნობა, როგორცაა სახის გამომეტყველება, ექსტიკულაცია, სხეულის პოზა, დისტანცია მოსაუბრესა და მსმენელს შორის, ინტონაცია, ხმის ტონი და ა.შ. პარალინგვისტური ნიშნები მსმენელს ინფორმაციის უკეთ გაგებაში ეხმარება და მოიხსენიება, როგორც არავერბალური კომუნიკაციის მახასიათებლები.

კომუნიკაციის პროცესი ყოველთვის სოციალურია, რადგან მოსაუბრის გარდა, აუციებლად მსმენელს მოიცავს და ხორციელდება როგორც ვერბალურად, ასევე, არავერბალურად.

ინტერნეტის დამკვირვებამ კიდევ უფრო დააჩქარა ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე. თანამედროვე ტექნოლოგიები საზღვრებს შლის, როგორც საზოგადოების შიგნით არსებულ ცალკეულ ფენებს შორის, ასევე, ქვეყნებს შორისაც. ადრე ადამიანები სხვადასხვა საშუალებით

ცდილობდნენ სხვებისათვის ხმა მიეწვდინათ და გარკვეული ინფორმაცია მიეწოდებინათ. დღეს, შეიცვალა ამ ინფორმაციის მიწოდების საშუალებები, თუმცა მიზანი უცვლელია, ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერ დროსა და სივრცეში.

მასობრივი კომუნიკაცია ეს არის პროცესი, როცა პროფესიონალი კომუნიკატორები ქმნიან და იყენებენ მედიას გზავნილების სწრაფად, უწყვეტ და მასშტაბურად გავრცელებისათვის, რათა დიდ აუდიტორიებში აღძრან ნაგულისხმევი მნიშვნელობები მათზე სხვადასხვა სახით ზემოქმედების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ენა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი, ორატორი

თანამედროვე მეცნიერებას მიაჩნია, რომ მასობრივ კომუნიკაციას განვითარების სხვადასხვა დონე გააჩნია და მათი იერარქიული განლაგება არის შესაძლებელი. ის განისაზღვრება, როგორც ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების პროცესი, ტექნიკურ საშუალების გამოყენებით. ყველაზე ვრცელი და ყოვლისმომცველი პროცესი მაშინ მიმდინარეობს, როცა მისი წარმოდგენა მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით შეგვიძლია, განსაკუთრებით ინტერნეტის არსებობის პირობებში. ასეთ, გლობალურ კომუნიკაციას მიეკუთვნება CNN, BBC და სხვა საერთაშორისო მედიასაშუალებები, რომლებიც მსოფლიოს ყველა წერტილიდან მოიპოვებენ ინფორმაციას და პლანეტის მასშტაბით ავრცელებენ.

უფრო დაბალ საფეხურზეა კომუნიკაცია საზოგადოების მასშტაბით, რომელიც მოიცავს კომუნიკაციას ერთ, რომელიმე საზოგადოებაში ან ქვეყანაში. ამის შემდეგ არის ინსტიტუციური კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს სოციალურ ინსტიტუციებს: პოლიტიკურ გაერთიანებებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს, კერძო ფირმებს ან ორგანიზაციებს და ა.შ.

ჯგუფთაშორისი კომუნიკაციის დროს, ადამიანებს რაიმე საერთო ინტერესი აერთიანებს, როგორცაა მეზობლობა, ბავშვების აღზრდა, ცხოველების სიყვარული, ხელოვნება, სოციალური პრობლემები და სხვა.

არსებობს შიდა ჯგუფური კომუნიკაციაც. ადამიანები ქმნიან ლოკალურ ასოციაციებს, სადაც მათთვის საინტერესო საქმანობას ეწევიან. ამგვარი გაერთიანება სოციალურ ინსტიტუტთან შედარებით უფრო ვიწრო კომუნიკაციით ხასიათდება. მაგალითად: ოჯახი, თვითშემოქმედებითი ან სპორტული წრე და სხვა.

ინტერპერსონალური (პიროვნებათაშორისი) კომუნიკაცია ნიშნავს პიროვნებათა შორის ურთიერთობას. მაგალითად: ლექტორისა და სტუდენტის, ორი მეგობრის, ცოლ-ქმრის და ა.შ.

და ბოლოს, მასობრივი კომუნიკაციის ერთ ერთი საშუალებაა ინტერპერსონალური ურთიერთობის დონეც, როდესაც ადამიანი თვითონ ჰქნის ინფორმაციას ანუ ფიქრობს, კითხულობს, წერს, ხატავს და ა.შ.

პირველი დონე (გლობალური კომუნიკაცია), მოიცავს ყველა დანარჩენს, მეორე მის ქვემოთ მდებარეობს და ა.შ. ამასთანავე, ყოველ მომდევნო დონეს შორის ორმხრივი კავშირი

ხორციელდება. რეალურად, არც ერთი დონე არ შეიძლება არსებობდეს სხვა დონეებისაგან იზოლირებულად. ეს დონეები შეიძლება ამგვარად წარმოჩინდეს:

1. გლობალური (მსოფლიოს მასშტაბით გლობალური კომუნიკაცია);
2. საზოგადოების მასშტაბით;
3. ინსტიტუციური;
4. ჯგუფთაშორისი;
5. შიდა ჯგუფური;
6. ინტერპერსონალური (პიროვნებათაშორისი);
7. ინტერპერსონალური (შიდა პიროვნული [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

კომუნიკაციური პროცესის თითოეულ დონეს თავისი სპეციფიკა აქვს. პირველი და მეორე დონე საჭიროებს კომუნიკაციის ხელოვნურ არსებობას (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი) გამოყენებას. ინსტიტუციური კომუნიკაცია ხორციელდება სატელეფონო, რადიოკავშირის ან ფოსტის საშუალებით. ჯგუფთაშორისი კომუნიკაცია ხორციელდება პირადი შეხვედრების, მიმოწერის ან სატელეფონო კავშირის საშუალებით. შიდა ჯგუფური კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია ერთმანეთის სიახლოვე, ურთიერთ გავლენის ხარისხი. ინტერპერსონალური კომუნიკაცია კი განპირობებულია შემდეგი თვისებებით: ყურადღების უნარი, შემეცნება, გაგება, გახსენება, შეფასება და ა.შ. ამ თვისებების დახმარებით ადამიანი ქმნის „ინფორმაციულ ბანკს“ და სისტემატიურად ავსებს მას ახალი მონაცემებით [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

ენა, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალება გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისას. გამოიყოფა კომუნიკაციის ორი ფორმა: ინტერპერსონალური და მასობრივი.

კომუნიკაციის პროცესის მოდელირების პირველი ცდა არისტოტელეს ეკუთნის. „რიტორიკაში“ მან აღნიშნა, რომ „სიტყვა შედგება სამი ნაწილისაგან: მოლაპარაკე, ის რის შესახებაც ლაპარაკობს და ვისადმიც არის სიტყვა, რომელსაც ენის საშუალებით ვამყარებთ, მიმართული. ეს პროცესი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ორატორი > შეტყობინება > აუდიტორია [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

არისტოტელესთვის ეს იყო ერთმიმართულებიანი პროცესი, რომელშიც ორატორი ცდილობდა აუდიტორიაზე ზემოქმედების მოხდენას. დღეს ამ პროცესს, კიდევ ერთი კომპონენტი, არხი, დაემატა.

ორატორი > შეტყობინება > არხი > აუდიტორია [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

არსებობს ენის, როგორც კომუნიკაციური ურთიერთობის სამი ეტაპი: 1. კომუნიკატორის მიერ შეტყობინებების ფორმირება; 2. აუდიტორიის მიერ ამ შეტყობინებების აღქმა;

3. აუდიტორიის, როგორც კომუნიკაციის პროცესში ჩართული პარტნიორის ანალიზი.

შვეიცარიელი ენათმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის თანახმად ენა „იდეათა გამომხატველი ნიშნების სისტემაა, მეტყველების სოციალური მომენტია და შედგება წესებისა და სტრუქტურების კოდექსისაგან, რომელსაც თითოეული ინდივიდი იმ საზოგადოებისაგან იღებს, რომელშიც ცხოვრობს, ისე, რომ ამ წესთა არც გამოგონება და არც შეცვლა არ შეუძლია“ [გოდუაძე, 2019].

ფერდინანდ დე სოსიურისთვის ენა არსებობდა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის აუცილებელი და ადამიანის ფსიქიკაში არსებული საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საშუალების გამოყენება. ამდენად, მან ენა ენად და მეტყველებად გამოიწინა. დღეს ეს გარჩევა ენობრივ სისტემად და მის გამოყენებად მოიაზრება [გოდუაძე, 2019].

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენა, როგორც სისტემა, არის ურთიერთობის ის საშუალება, რომელსაც ჩვენს ფსიქიკაში ვატარებთ და ამ სისტემის აქტუალიზაცია არის დისკურსი.

ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარებას ხელს უწყობს ორი პირობის არსებობა: ურთიერთქმედება და ინფორმაცია. ენის კარგი ცოდნა, მეტყველების სწორად დაუფლების უმნიშვნელოვანესი პროცესია. როგორც წესი, ენა, მეტყველება და კომუნიკაცია მჭიდრო კავშირშია და ერთად განიხილება. კომუნიკაცია კი იმთავითვე მოიაზრებს არა მხოლოდ ვერბალურ, საუბრით გადმოცემას აზრის, იდეის, ურთიერთობის, საკუთარი განწყობის, არამედ ჟესტებს, მიმიკას, წერილობით ენას [გოდუაძე, 2019].

ენა არის სიმბოლოების კოდირებული სისტემა, რომელიც შეტყობინების გადმოსაცემად გამოიყენება. ის არის სამყაროს შესახებ იდეების რეპრეზენტაციის საშუალება. მას აქვს კონვენციური ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული ენის გააზრება ხდება ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაში. არა კონვენციური ენა მკვდარია. მაგალითად, ლათინური [ენის, მეტყველების და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია].

ენა არის სიტემა, რომელშიც არსებობს კოდების განლაგებისათვის საჭირო წესები და რეგულაციები. ენა გენერაციულია: მისი გამოყენებით ადამიანი მუდმივად ქმნის ახალ ნარატივს. ის დინამიკურია, რადგან დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებას. ენებს, უნივერსალური, ყველასთვის საერთო მახასიათებლები აქვთ. ყველა ენაში არსებობს არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და რაც მთავარია, წესები [Rouse, 2020].

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ენის განმარტება ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ენა გენერაციული და დინამიკური, უნივერსალური მახასიათებლების მქონე სიმბოლური სისტემაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამყაროს შესახებ აზრების გამოხატვა, გაზიარება კომუნიკაციის პროცესში არბიტრული, მაგრამ კონვენციური სიმბოლოების გამოყენების გზით“ [ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია].

ეს განმარტება ბლუმისა და ლეის მიერ ჩამოყალიბებული ენის განმარტების ადაპტირებული ვარიანტია [ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია].

ენა, განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც მხოლოდ ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი.

ენის უმთავრესი ფუნქციაა კომუნიკაციის ხელშეწყობა. სოციოლინგვისტურმა და ფსიქოლინგვისტურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ამის გარდა ენას სხვა ფუნქციებიც გააჩნია. მაგალითად, ენა შეიძლება ასევე იყოს ეროვნული და ადგილობრივი იდენტობის მაჩვენებელი.

ლიტერატურა:

1. გოდუაძე მ., - მეტყველება და კომუნიკაცია - დარღვევათა ტიპები და მუშაობის სტრატეგიები (ნაწილი პირველი). [http:// mastsavlebeli.ge](http://mastsavlebeli.ge) ინტერნეტგაზეთი: 15.09.2019.
2. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია. თბილისი, თსუ-გამომცემლობა. 2023. Tsu.ge <http://cisi.tsu.ge>. 8.05.2024
3. მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი. SCRIBD <http://www.scribd.com> 2003. 9.05.2024.
4. Manana Mikadze. (2022). Teaching the Georgian objects in a High School. Iac [Internet]. 2022 Mar. 9 [cited 2024 Mar. 25]; Available from: <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/801>
5. Rouse, M., H., - Neuroanatomy for Speech-Language Pathology and Audiology, second ed. 2020.

Salome Laghadze

Akaki Tsereteli State University

e-mail: baia_7@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.07>

SJIF 2024: 8.268

Language and mass communication media

Abstract

Language is the main means of successful communication. Its correct utilization plays an important role in the process of human development. Language is a special phenomenon that is unique to humans. Its main function is to facilitate verbal and non-verbal communication.

Man is a social being. Therefore, establishing social communication is one of the basic human needs. Language is the main tool for successful communication. Language is the expression of ideas through words uttered with speech sounds. Words are combined into sentences. It is through these sentences that ideas are transformed into thoughts and then expressed. Language is also a social phenomenon, which represents a set of rules and norms. Language is a system of symbols, and speech is

the realization of this system. Speech is a process of communication, and language is a means. In the process of communication along with verbal communication it is no less important to recognize paralinguistic signs, such as facial expressions, gestures, body posture, distance between the speaker and the listener, intonation, tone of voice, etc.

Modern technologies erase the boundaries, both between the individual layers within the society, and also between the countries. In the past, people tried to give voice and provide certain information to others through various means. Today, the means of providing the information have changed, but the goal remains the same, to transmit information at any time and space.

Mass communication is the process by which professional communicators create and use media to destiminate messages rapidly, continuously, and at scale in order to evoke implicit meanings in large audiences in order to impluence them in various ways.

Key words: language, means of mass communication, orator.

რეცენზენტი: პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი